

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი # 10

ქ. საჩხერე

08 სექტემბერი 2020 წელი

2020 წლის 8 სექტემბერს 10:00 საათზე გაიმართა საკრებულოს ბიუროს სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

- 1) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ირაკლი ჩხიკვაძე
- 2) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე
- 3) აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე-კობა ხვედელიძე
- 4) ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-მარინა კაციტაძე
- 5) ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე
- 6) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ერეკლე ჭილაძე
- 7) ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე-გიორგი ხარშილაძე

არ ესწრებოდნენ:

- 1) ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-გაგა დარბაიძე
- 2) ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე-მარინე დემეტრაშვილი

სხდომაზე მოწვეული პირებიდან ესწრებოდა:

- 1) საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი-ბენიამენ ფალავანდიშვილი
- 2) მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ინგა შუკაკიძე

დღის წესრიგი

1. „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3458 01/09/2020წ) განხილვის თაობაზე, (საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის შესახებ“ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/

3. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N 53/3349 26/08/2020) განხილვის შესახებ, (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომძრავი ქონების (სოფ.გორისის ამბულატორია) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

მოისმინეს:

1. „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ დადგენილების პროექტში, მათე ცვლილების შეტანა განპირობებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის პანდემიის გამო გამოწვეული გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით, კერძოდ მცირდება დამატებული ღირებულების გადასახადი 1,650.0 ათასი ლარით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1570 განკარგულებით ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე, საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის 1 100.0 ათასი ლარის გამოყოფით. სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი

ბიურომ გადაწყვიტა:

დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

მოისმინეს:

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3458 01/09/2020წ) განხილვის თაობაზე, (საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის შესახებ“ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ ელ-აუქციონზე სასყიდლიანი იჯარით, 2016 წლის 18 მაისს გაცემული იყო ქ. საჩხერეში, ივ. გომართელის ქუჩაზე მდებარე, სავაჭრო ცენტრის პირველ სართულზე უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1626კვ.მ. პირველ სართულზე სავაჭრო ფართი 633.74კვ.მ და 75 დასახელების მოძრავი ქონება-ინვენტარი. ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 19 მაისს გაუვიდა მოქმედების ვადა, რის გამოც, საკრებულოს თანხმობით, გაუგრძელდა (მოქმედების ვადა) 3 თვით, რაც დასრულდა.

სხდომას გააცნო წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის მიზნით, იჯარის ხელშეკრულების ერთი წლით და 6 თვით მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ბიურომ გადაწყვიტა:

განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

მოისმინეს:

3. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N 53/3349 26/08/2020) განხილვის შესახებ, (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების (სოფ.გორისის ამბულატორია) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე

მომხსენებელმა ბიუროს გააცნო განკარგულების პროექტი, ოჯახის ექიმ მაკა კუპრაშვილზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით (საჩხერე, სოფელი გორისა, 35.09.45.058 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, 216 კვ.მ და შენობა-ნაგებობა 37.59კვ.მ) და სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ თხოვების ფორმით (36 დასახელების 3881.23 (სამიათასრევასოთხმოდდერთი) ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარის ღირებულების ინვენტარის-მატერიალური ფასეულობის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

ბიურომ გადაწყვიტა:

- 1) განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.
- 2) საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნას მ/წ 08 სექტემბერს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

1. „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის შესახებ“ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების (სოფ. გორისის ამბულატორია) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/

შეკითხვები და შენიშვნები არ არის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე



ლევან ივანაშვილი